პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=484856 Y=4624309
წუგზარ შანავას ქუჩა
X=486466 Y=4623609
X=487101 Y=4623197

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00002123

01/02/2019

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თინათინ წიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

თქვენთან კონსულტაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, გიგზავნით დამატებით ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-16 ბატალიონის მეთაურის **ნუგზარ შანავას** თაობაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მისი ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და დაღუპვის შესახებ.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ხურციძე მიხეილ

04.02.19

ნუგზარ შანავა

(ბიოგრაფია)

ნუგზარ შანავა საქართველოს თავისუფლების დამცველი საძმოს რიგებს შეუერთდა 1989წლის 15 ივნისს აფხაზეთში დატრიალებული სისხლიანი ტეროტის დღეებში, როდესაც სრულიად საქართველომ იარაღი აიღო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აფხაზი ექსტრემისტებისგან დასაცავად.

იქ აფხაზეთში მდ.ღალიძგის ნაპირთან მიიღო პირველი ჭრილობა.

ნ. შანავა იყო, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი სამაჩაბლოს ქართული სოფლების ოსი ექსტრემისტებისგან. (იყო დანიშნული კომენდანტის საათის უფროსად)

სამაჩაბლოში შექმნილ საომარი მდგომარეობასთან დაკავშირებით, (ბრძანება #17 1991წ 20 მარტი) ზუგდიდის მე-16 ბატალიონის პ/შემადგენლობა გვარდიის კაპიტან ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას მეთაურობით მივლინებულ იქნა სოფელ ავნევში. დაგეგმილ ოპერაციაზე გასულებს ჩასაფრებულებმა ექსტრემისტებმა სოფ.ავნევში ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც სამი მებრძოლი: რომან ბენდელიანი, პაატა ყურწუა და ჯანო რაფავა ადგილზე გარდაიცვალნენ, ნუგზარი კი მძიმედ დაიჭრა. 16 ტყვიით დაჭრილი უტევდა და იგერიებდა მტერს, შემდეგ ხოხვით მიაღწია დასახლებულ პუნქტამდე, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გაუწია პირველადი დახმარება. პრეზიდენტის სწრაფი რეაგირებით გადაყვანილი იქნა თბილისის რესპუბლიკურ საავადმოფოში (28.03.1991წ 16 სთ - რეანიმაციის განყოფილება; დიაგნოზი - თავის ტვინის დაჟეჟილობა, მარცხენა საფეთქლის მიდამოში ცეცხლნასროლი ჭრილობა, ორივე ზედა კიდურის ღია მოტეხილობა, მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები.)

1991წლის აგვისტოს თვეში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მოხდა ეროვნული გვარდის რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია დაპირისპირება და გვარდიის ორ ნაწილად გაყოფა. გვარდიის მაშინდელი სარდალი თენგიზ კიტოვანი დაუპირისპირდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას.

ზვიად გამსახურდიამ გასცა ბრძანება ორად გახლეჩილ, დაპირისპირებულ გვარდიას რკონის ხეობიდან შეეცვალა დისლოკაციის ადგილი ცხინვალის მიმართულებით. თუმცა თენგიზ კიტოავნმა არ შეასრულა პრეზიდენტის ბრძანება, შეეცვალა დისლოკაციის ადგილი და თვითნებურად დაბანაკდა თბილის ზღვაზე. იმდენად დიდი იყო დაძაბულება გვარდიაში რომ მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომი.

1991წლის 4 ოქტომბერს პრეზიდენტ გამსახურდიის ბრძანებით მოხდა თბილის ზღვაზე მყოფი გვარდიის პიკეტირება. პიკეტირებაში მონაწილეობას იღებდა მაშინდელი ომონი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ზუგდიდის მე-16 ბატალიონი, რომელიც უშუალოდ იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაქვემდებარებაში

ნუგზარ შანავა იყო მე-16 ბატალიონის მეთაური, აცნობიერებდა რა მოსალოდნელ საფრთხეს, მან სცადა საუკეთესო ფორმით გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები და შერიგებისკენ მოუწოდა დაპირისპირებულთა ბანაკს. საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაწყვიტა ეჩვენებინა მაგალითი გადამწყვეტ მომენტში, რომ ძმათა შორის სისხლი არ დაღვრილიყო. მან უიარაღომ, ხელებაწეულმა შესთავაზა დაპირისპირებულებს მათთან მოსალაპარაკებლად მისვლა.

მოსალაპარაკებლად მიმავალი ნუგზარ შანავა ხელებაწეული მიდიოდა იმის ნიშნად, რომ იგი უიარაღო იყო, ამ დროს დაპირისპირებული მხრიდან გავარდა ტყვია, იგი შეტრიალდა, რა დროსაც სნაიპერის ტყვია მოხვდა ზურგში და შეიწირა მისი სიცოცხლე. ამ ფაქტმა გამოიწვია ინტენსიური სროლა და ორივე მხრიდან მოჰყვა მსხვერპლი.

არავინ ელოდა, რომ ნუგზარს ესროდნენ. მისი მაღალი ავტორიტეტი არავისთვის ყოფილა უცნობი. ნუგზარის სიკვდილთან ერთად გაწყდა ბოლო ძაფი შერიგების შესაძლებლობის და ეს დაპირისპირება 5 ოქტომბერს გაგრძელდა უკვე სამოქალაქო ომით, შედეგად კი მივიღეთ უამრავი დაღუპული და გადამწვარი თბილისი.

საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმის, ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ასევე ძმათაშორის სისხლისღვრის შესაჩერებლად თავგანწირვისათვის და საკუთარი სიცოცხლის ფასად მიღებული სამაგალითო გადაწვეტილებისათვის ზუგდიდის მე-16 ბატალიონის ასმეთაურს, გვერდიის კაპიტან ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი (სიკვდილის შემდეგ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-01180924133**

თარიღი: **02.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ასლი
სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ.75

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან შემოვიდა მოქალაქე ზვიად შანავას წერილი (მერიის რეგისტრ. N19/01180751175-01), რომელიც ქალაქ თბილისში, რომელიმე ქუჩისათვის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 5 გვერდი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00005433

12/03/2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ასლი: ზვიად შანავას
მცხ.: თბილისი, პ.იოსელიანის ქ.37 ბ.54

ბატონო კახა,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 28 თებერვალს განცხადებით მომართა მოქალაქე ზვიად შანავამ შუამდგომლობისათვის, ქალაქ თბილისის რომელიმე ქუჩას გვარდიის კაპიტანის ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას სახელის მინიჭების თაობაზე.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ნუგზარ შანავა ირიცხებოდა საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის მე-16 ბატალიონში. აღნიშნულ შენაერთთან ერთად მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, სადაც მიღებული ქონდა არაერთი საბრძოლო ჭრილობა. კაპიტანი ნუგზარ შანავა გმირულად დაიღუპა 1991 წლის 4 ოქტომბერს, თბილისის ზღვაზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 27 სექტემბრის N27/09/03 განკარგულებით, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, გმირობისა და თავდადებისათვის ნუგზარ შანავა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იქნა ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით

როგორც მოგეხსენებათ „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ" პუნქტის საფუძველზე სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ერთ-ერთი ფორმაა სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სახელისა და გვარის დარქმევა ქუჩისათვის, მოედნისათვის, დაწესებულებისათვის, სკოლისათვის, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გემისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს.

გიგზავნით განცხადებას და გთხოვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმსჯელოთ ქალაქ თბილისში რომელიმე ქუჩისათვის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი პირველ ადრესატს.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ იმნაძეს

მოქ: ზვიად შანავას
მცხ. ქ.თბილისი, პლ.იოსელიანის ქ.37, ბ54
პ/ნ: 19001094896

ტელ. 599941122

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავა, საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 27 სექტემბრის N27/09/03 განკარგულებით, სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ნუგზარ შანავა ერთ-ერთი პირველი ჩაერთო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. 1989 წლის 15 ივნისს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების დაცვისას სეპარატისტების ნასროლი ტყვიით იგი მდინარე ღალიძგასთან მძიმედ დაიჭრა.

ნუგზარ შანავა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი იყო სამაჩაბლოს ქართული სოფლების, ოსი ექსტრემისტებისგან. (იყო დანიშნული კომენდანტის საათის უფროსად).

სამაჩაბლოში შექმნილ საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით, (ბრძანება #17 1991წ 20 მარტი) ზუგდიდის მე-16 ბატალიონის პ/შემადგენლობა, საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტან ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას მეთაურობით, მივლინებულ იქნა სოფელ ავნევში. დაგეგმილ ოპერაციაზე გასულებს ჩასაფრებულმა ექსტრემისტებმა სოფელ ავნევში მის ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც სამი მებრძოლი: რომან ბენდელიანი, პაატა ყურწუა და ჯანო რაფავა ადგილზე გარდაიცვალა, ნუგზარი კი მძიმედ დაიჭრა. 16 ტყვიით დაჭრილი, მტერს კვლავ უტევდა და იგერიებდა. შემდეგ ხოხვით მიაღწია დასახლებულ პუნქტამდე, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ პირველადი დახმარება გაუწია. პრეზიდენტის სწრაფი რეაგირებით გადაყვანილი იქნა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში (28.03.1991წ 16 სთ - რეანიმაციის განყოფილება; დიაგნოზი - თავის ტვინის დაჟეჟილობა, მარცხენა საფეთქლის მიდამოში ცეცხლნასროლი ჭრილობა, ორივე

ზედა კიდურის ღია მოტეხილობა, მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები). ნუგზარ შანავა ამჯერადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების გამწვავების დროს, 1991 წლის 4 ოქტომბერს, იგი თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ დაპირისპირებულ მხარესთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა. აქაც უნდოდა, თავისი შესაძლებლობები გამოეყენებინა, რათა ძმათა შორის სისხლი არ დაღვრილიყო. მშვიდობიანი განზრახვის დასადასტურებლად, უიარაღომ, ხელებაწეულმა შესთავაზა დაპირისპირებულებს მოლაპარაკება, მაგრამ ასე ხელებაწეულს ზურგში ესროლეს. მუხთალმა ტყვიამ მისი სიცოცხლე შეიწირა.

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმის, ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ასევე ძმათაშორის სისხლისღვრის შესაჩერებლად თავგანწირვისათვის და საკუთარი სიცოცხლის ფასად მიღებული სამაგალითო გადაწყვეტილებისათვის, ზუგდიდის მე-16 ბატალიონის ასმეთაური, გვერდიის კაპიტანი ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავა ღირსია მიენიჭოს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი (სიკვდილის შემდეგ)", - ვკითხულობთ გენერალ-მაიორ გიორგი ყარყარაშვილის მიერ ჯილდოზე წარდგინების ფურცელში.

გამომდინარე იქიდან, რომ მომავალი თაობა სწორედ ასეთი გმირების მაგალითზე უნდა გაიზარდოს, მოგმართავთ თხოვნით, შუამდგომლობა გამიწიოთ შესაბამის ორგანოებთან, ქ. თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის, ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების თაობაზე.

დანართი „2" ფურცელი.

განმცხ: ზვიადი შანავა

ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N 27/09/03 2017 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, გმირობისა და თავდადებისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ:

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

ნუგზარ შანავა - გვარდიის კაპიტანი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთეული გვარდიის ზუგდიდის მე-16 ბატალიონის ასმეთაური (სიკვდილის შემდეგ).

№1

გიორგი მარგველაშვილი

ნუგზარ შანავა

საქართველოს პრეზიდენტის
2017 წლის 27 სექტემბრის № 27/09/03
განკარგულებით დაჯილდოვდა

ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენით

№ 0118



მოწმობა № 05179

საქართველოს
პრეზიდენტი

გ. მარგველაშვილი

By Decree № 27/09/03 of September 27, 2017
of the President of Georgia

Nugzar Shanava

is awarded with

the Order of
VAKHTANG GORGASALI - I RANK

№ 0118



Certificate № 05179

President
of Georgia

G. Margvelashvili

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01183552930**
თარიღი: **21/12/2018**
პინი: **1194**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.11.2018 წლის #03-031831743 (13.11.2018წ. #06-01183172657-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011788105077218

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

416839

02 / ოქტომბერი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 26 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M18018540 განცხადებით მომართა შპს „ივერია-სპორტი (I/D: 205283646), წარმომადგენელმა გივი გოგოძემ (პ/ნ: 01024006269) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდით N01.12.21.001.097).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.12.21.001.097) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031831743
თარიღი: 13/11/2018
პინი: 7374

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2018 წლის 03 ოქტომბრის საქმე #16-03182761-03 დაკავშირებით, რომლითაც შპს "ივერია-სპორტის" წარმომადგენლის გივი გოგოძის N M18018540 განცხადების საფუძველზე ითხოვს თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.01.12.21.001.097).
როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ თემქის ასასვლელიდან ვარკეთილის მეურნეობამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი